გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პარლამენტის მიერ კონსტიტუციური კანონის პროექტის უარყოფასთან დაკავშირებით

15 ნოემბერი, 2019 წელი

სამწუხარო და იმედგამაცრუებელი შედეგი დადგა 2019 წლის 14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში. გათვალისწინებულ არ იქნა ფართო საზოგადოებაში, პროფესიულ წრეებსა და პოლიტიკურ სპექტრში არსებული საერთო კონსენსუსი. პარლამენტმა უარყო კანონპროექტი, რომელიც გულისხმობდა 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით, ნულოვანი ბარიერის პირობებში გამართვას. პარლამენტის მაჟორიტარული წესით არჩეული რიგი დეპუტატების მხრიდან მოყვანილი არგუმენტები და პოზიცია, რამაც აღნიშნული უარყოფითი შედეგი დააყენა, ჩვენი შეფასებით იყო - არადამაჯერებელი, უპასუხისმგებლო და არსებული პოლიტიკური რისკების ანალიზს მოკლებული. განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისტორიული გადაწყვეტილება 2017 წელს უკვე მიღებულ იქნა და 2024 წლიდან მოქმედი კონსტიტუცია ისედაც ითვალისწინებდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. ასევე, წარმოდგენილი კანონპროექტი იმავე დეპუტატების უმრავლესობის მიერ იქნა ხელმოწერილი/ინიცირებული, რომლებმაც საბოლოოდ კენჭისყრაზე პროექტს მხარი აღარ დაუჭირეს.

აღსანიშნავია, რომ განსახილველად წარდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტის საბოლოო რედაქციაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად. ასევე, გათვალისწინებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარდგენილი შენიშვნები.

2019 წლის ივნისიდან, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფში. ჩვენ მიერ მომზადებული რეკომენდაციების პაკეტი, სრულად ან ნაწილობრივ, გათვალისწინებულ იქნა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ერთობლივ რეკომენდაციებში, ისე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტში. კერძოდ, კონსტიტუციის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში გაზიარებულ იქნა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, მანდატების სამართლიანი განაწილების წესთან დაკავშირებით. რეკომენდაცია აისახა კონსტიტუციური კანონის იმ საბოლოო პროექტში, რომელიც, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული პარლამენტის აღნიშნული გადაწყვეტილებით.

მოქმედმა პარლამენტმა გაუშვა შესაძლებლობა, მიეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფდა ყველას, მათ შორის მცირე ჯგუფების ინტერესების პროპორციულად ასახვას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, ასევე გაამყარებდა და დაარჩქარებდა ქვეყანაში დემოკრატიის სტანდარტის ამაღლებასა და განმტკიცებას. სამწუხაროა, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული და ისედაც პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში, მსგავსი ნაბიჯით, საზოგადოება კიდევ უფრო დიდი დაპირისპირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, ყველა ჩართულმა მხარემ და სრულიად პოლიტიკურმა სპექტრმა, განსაკუთრებით კი მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, კონსტრუქციული დიალოგის გზით მიაღწიოს კონსენსუსს არსებული ვითარების მოსაგვარებლად.

ვიმედოვნებთ, მოხდება კანონის ფარგლებში პროცესების წარმართვა და იმ დიდი პასუხისმგებლობის ბოლომდე გააზრება, რაც დღეს ყველას აკისრია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარების პროცესში.